საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კოტეტიშვილი ვახტანგ ილიას ძე

ვ. ი. კოტეტიშვილი

კოტეტიშვილი ვახტანგ ილიას ძე (24. X. 1893, სოფ. დიდი თონეთი, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, – 1937), ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, ფოლკლორისტი, მოქანდაკე, ხელოვნებათმცოდნე. 1911 დაამთავრა თბილ. სას. სემინარია, 1911–14 სწავლობდა პეტერბ. ფსიქო-ნევროლოგიური ინ-ტის პედ. ფაკ-ტზე; 1918 დაასრულა დერპტის (ტარტუ, ესტონეთი) უნ-ტის ისტ.- ფილოლ. ფაკ-ტი და პედ. მოღვაწეობა დაიწყო იქვე. 1919–26 მასწავლებლად მუშაობდა თბილ. სკოლებში. 1926 მიიწვიეს თსუ-ში, სადაც თავდაპირველად კითხულობდა ფოლკლორის, 1929-იდან კი – თავისივე ინიციატივით შემოღებულ პოეტიკის კურსს. 1922–28 სწავლობდა თბილ. სამხატვრო აკადემიაში (ი. ნიკოლაძის ჯგუფი). 1928-იდან იქვე კითხულობდა ქანდაკების თეორიისა და ისტ. კურსს. 1918–28 იყო საქართვ. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი, გაზ. „ქართული სიტყვის“ რედაქტორი, 1921–27 – საქ. სსრ ხელოვნების მთავარი კომიტეტის წევრი, 1924–29 – ქართვ. მხატვართა საზ-ბის თავ-რე, 1933- იდან – საქართვ. მუზეუმის დირექტორის მოადგილე.

კ-ის პირველი ლიტ. წერილი „საზოგადოებრივი მოტივები არჩილ მეფისა და დ. გურამიშვილის შემოქმედებაში“ 1912 „სახალხო გაზეთში“ დაიბეჭდა. 1918 გამოსცა „შავი წიგნი“ (შ. არაგვისპირელის შემოქმედების მიმოხილვა), 1921 – „უოლტ უიტმენი. პროლეტარიატის პოეტი“, 1925 – „ალექსანდრე ყაზბეგი და მისი ავტორობის საკითხი“. კ-მა, ქართვ. მეცნიერთა შორის პირველმა შექმნა XIX ს. ქართ. ლიტ-რის ისტ. კურსი (ნაწ.

I–II, 1925; ნაწ. III, 1927), რითაც ხელი შეუწყო ახ. ქართ. ლიტ-რის მეცნ. შესწავლასა და მკვლევართა მთელი თაობების აღზრდას; დიდ ყურადღებას უთმობდა აგრეთვე ლიტ-რაში მიმდინარე პროცესებს, იყო ლიტ. დაჯგუფების – „აკადემიური მწერლობის კავშირის“ წევრი.

კ. ქართ. ფოლკლორისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მან პირველმა ჩაუყარა საფუძველი საქართველოში მეცნ.-ფოლკლორულ ექსპედიციებს. 1932 საქართვ. მუზეუმთან ჩამოყალიბდა ფოლკლორის განყ-ბა, რ-იც საფუძვლად დაედო „ელხის“, შემდგომ რუსთაველის სახ. ლიტ. ინ-ტის ფოლკლორის განყ-ბასა და არქივს. კ-ს ეკუთვნის წერილები: „აკაკი წერეთელი და ხალხური შემოქმედება“, „სურამის ციხის ლეგენდა მსოფლიო ფოლკლორში“, „ხალხური ამბავი ტარიელისა“ და სხვ. 1934 გამოსცა „ხალხური პოეზიის“ I ტომი, რ-ის წინასიტყვაობასა და ვრცელ კომენტარებში პირველად დაისვა ქართ. ფოლკლორისტიკის მრავალი კარდინალური საკითხი. კ-მა მიაკვლია ქართ. ფოლკლორის უძველეს მითოლოგიურ ძირებს; სოც.-ისტ. გარემოებათა გათვალისწინებით დაათარიღა ზეპირსიტყვიერების ცალკეული ნიმუშები.

საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი.

თხზ.: ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.), თბ., 1959; ხალხური პოეზია, გამოც. მე-2, თბ., 1961; ქანდაკების ისტორია, თბ., 1963; რჩეული ნაწერები ორ წიგნად, თბ., 1965–67; წერილები. გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვ. და კომენტ. დაურთო ნ. კუპრეიშვილმა, თბ., 2016.

ლიტ.: გ ა მ ე ზ ა რ დ ა შ ვ ი ლ ი დ., ვახტანგ კოტეტიშვილი, თბ., 1969; გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე მ., ვახტანგ კოტეტიშვილი (ბიოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1990.

ე. ვირსალაძე